

შპს „აბალი ქალაქი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს "აბალი ქალაქი"
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის,
რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი.....	4
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3.1 ვალუტა.....	5
3.2 ძირითადი საშუალებები.....	6
3.3 მოგების გადასახადი.....	7
3.4 მარაგები	8
3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან.....	9
3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9
3.7 ფული და ფულის ექვივალენტები	10
3.8 კაპიტალი	10
3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10
3.10 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	11
3.11 ამონაგების აღიარება.....	11
3.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	12
3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	12
3.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13

5. ფული და ფულის ექვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. მარაგები	14
8. ძირითადი საშუალებები	15
9. სხვა გრძელვადიანი აქტივები	15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება	16
12. სასესხო ვალდებულებები	16
13. საგადასახადო ვალდებულებები	17
14. სხვა ვალდებულებები	17
15. საკუთარი კაპიტალი	17
16. შემოსავლები	17
17. ხარჯები	17
18. პირობითი ვალდებულებები	18
19. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	20
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20
21. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)	21
22. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)	23

შინაარსი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი ქალაქი“ დაფუძნებულია და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ სამეწარმეო რეესტრში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2014 წლის 29 მაისს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 412699922.

კომპანიის პარტნიორები არიან შემდეგი პირები:

შპს „ლაპილი“ ს/ნ 412677964 - 50%;

აკაკი ბუხრაშვილი პ/ნ 54001008038 - 50%;

კომპანიას თავის მხრივ არ ყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „ახალი ქალაქი“-ს როგორც იურიდიული ასევე საქმიანობის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქუთაისი, ა. წერეთლის ქ., № 192.

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი აკაკი ბუხრაშვილი, პ/ნ 54001008038.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა” ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია წარმოადგენს საწარმოთა ჯგუფის წევრს, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ინდივიდუალური ხასიათისაა და ეხება მხოლოდ შპს „ახალი ქალაქი“-ს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები დამრგვალებულია 1 ლარამდე სიზუსტით.

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის განაკვეთი (%)
მანქანა-დანადგარები	15-20
სატრანსპორტო საშუალებები	10-15
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	20-25

სხვა ძირითადი საშუალებები

20-25

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი (ესტონური მოდელი), რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბუერი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- დივიდენდის განაწილება;
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები:

- ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები;
- მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
- ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები;
- გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიაზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა.

3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

გაყიდვები ხორციელდება ძირითადად უნაღდო ანგარიშსწორებით თუმცა არის შემთხვევები ნაღდი ანგარიშსწორების. მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრებს საღაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. კომპანიას 2018 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გამოუცხადებია.

3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.10 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველაწარმო საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გამოკლებით.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაწუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
შემოსავლის აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეალიზაციასთან დაკავშირებული, დაბრუნებადი გადასახადების გარეშე.

3.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება წარმოებაზე გაწეული ხარჯებისაგან (ნედლეული და მასალები, შრომის ანაზღაურება და სხვა), ხარჯები (ნედლეული და მასალები), რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული, თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს,

როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში).

3.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4086	8945
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8367	8436
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
	12453	17381

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2473.9	-11202
	2473.9	-11202

7. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მზა პროდუქცია	0	0
ნედლეული და მასალები	0	181
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	0	0
	0	181.25

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სხვა ძირითადი საშუალება	დაუმთავრებელი მიწა მშენებლობა	მიწა	სულ
01-01-18	37584	1010473	566714	1614771
შემოსვლა	1644	199202		200846
გასვლა				0
31-12-18	39228	1209674	566714	1815617
დაგროვილი ცვეთა				0
01-01-18	-19079	0	0	-19079
პერიოდის ცვეთა	-3948	0	0	-3948
გასვლა		0	0	0
31-12-18	-23026	0	0	-23026
წმინდა საბალანსო ღირებულება				0
01-01-18	18506	1010473	566714	1595692
31-12-18	16202	1209674	566714	1792590

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8930.81	6484.02
	8930.81	6484.02

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	24374.42	156143.08
	24374.42	156143.08

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის და არც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9,420	600
	9420	600

12. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
სასესხო ვალდებულებები	562000	330000
	562000	330000

13. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
საგადასახადო ვალდებულებები	38023.85	5801.16
	38023.85	5801.16

14. სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	01.01.2018
სხვა ვალდებულებები	90613.56	107714.61
	90613.56	107714.61

15. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
კაპიტალი შპს-ში	895320	1063320
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	196696.57	-130421.54
სხვა რეზერვები	0	75,379
	1092016.57	1008277.46

16. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლებმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 543 789 ლარი, რომელიც მიღებულია საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან.

17. ხარჯები

საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 216,670,92 ლარი.

18. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს

დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო

დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. ამ შეფასების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება, რამაც თავის მხრივ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი.

საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურისა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები.

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

19. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორის მინდობილი პირი: _____ ირაკლი ხარშილაძე
(პ/ნ 6002010080)

21. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31-12-18	31-12-17
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,453	17,381
სავაჭრო მოთხოვნები	2,474	(11,202)
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	0	181
მზა პროდუქცია	0	181
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
გრძელვადიანი აქტივები		
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	1,792,590	1,595,692
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8,931	6,484
სულ აქტივები	1,816,448	1,608,536
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	24,374	156,143
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9,420	600
საგადასახადო ვალდებულებები	38,024	5,801
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	562,000	330,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	90,614	107,715
სულ ვალდებულებები	724,432	600,259
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	895,320	1,063,320
საემისიო შემოსავალი	0	0

შპს „ახალი ქალაქი“
 სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	196,697	(130,422)
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	75,379
სულ საკუთარი კაპიტალი	1,092,017	1,008,277
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,816,448	1,608,536

დირექტორის მინდობილი პირი: _____ ირაკლი ხარშილაძე
 (პ/ნ 6002010080)

22. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	2018
ნეტო ამონაგები	543,789
საქონლის გაყიდვიდან	368,293
მომსახურების გაწევიდან	175,496
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა.	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(42,759)
საწყისი მარაგები	(181)
მარაგების შესყიდვა	(42,578)
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	501,030
სხვა შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	(49,935)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,948)
საპროცენტო შემოსავალი:	0
საპროცენტო ხარჯი :	0
იჯარის ხარჯი	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(51,457)
სულ საოპერაციო ხარჯები	(105,339)
საოპერაციო მოგება	395,691
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	0
ფინანსური აქტივები	0
მარაგები	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(68,573)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	327,118
მოგების გადასახადი	0
მოგება/(ზარალი)	327,118
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	327,118
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,008,277
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	83739
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,092,017

დირექტორის მინდობილი პირი: _____ ირაკლი ხარშილაძე
 (პ/ნ 6002010080)

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.
გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები.

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

19. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორის მინდობილი პირი: _____ (ირაკლი ხარშილაძე
მ/ნ 6002010080)



21. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31-12-18	31-12-17
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,453	17,381
სავაჭრო მოთხოვნები	2,474	(11,202)
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	0	181
მზა პროდუქცია	0	181
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
გრძელვადიანი აქტივები		
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	1,792,590	1,595,692
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8,931	6,484
სულ აქტივები	1,816,448	1,608,536
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	24,374	156,143
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9,420	600
საგადასახადო ვალდებულებები	38,024	5,801
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	562,000	330,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	90,614	107,715
სულ ვალდებულებები	724,432	600,259
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	895,320	1,063,320
საემისიო შემოსავალი	0	0

შპს „ახალი ქალაქი“
 სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	196,697	(130,422)
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	75,379
სულ საკუთარი კაპიტალი	1,092,017	1,008,277
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,816,448	1,608,536

დირექტორის მინდობილი პირი: _____



ირაკლი ხარშილაძე
 (პ/ნ 6002010080)

22. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	2018
ნეტო ამონაგები	543,789
საქონლის გაყიდვიდან	368,293
მომსახურების გაწევიდან	175,496
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა.	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(42,759)
საწყისი მარაგები	(181)
მარაგების შესყიდვა	(42,578)
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	501,030
სხვა შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	(49,935)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,948)
საპროცენტო შემოსავალი:	0
საპროცენტო ხარჯი :	0
იჯარის ხარჯი	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(51,457)
სულ საოპერაციო ხარჯები	(105,339)
საოპერაციო მოგება	395,691
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	0
ფინანსური აქტივები	0
მარაგები	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(68,573)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	327,118
მოგების გადასახადი	0
მოგება/(ზარალი)	327,118
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0

შპს „ახალი ქალაქი“
 სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	327,118
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,008,277
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	83739
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,092,017

დირექტორის მინდობილი პირი: _____




ირაკლი ხარშილაძე
 (პ/ნ 6002010080)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



54674528243519

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით
მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191159233



რეგისტრაციის თარიღი

20.09.2019 წ

ნოტარიუსი: თამარ ჩაფიძე

მისამართი: ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზ #7 ბ25

ტელეფონი: 599237708

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული მინდობილობა

ორიათას ცხრამეტი წლის ოც სექტემბერს მე ნოტარიუს თამარ ჩაფიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქუთაისი ირ. აბაშიძის გამზირი №7/25 პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა აკაკი ბუხრაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ამჟამად იმყოფება რუსეთის ფედერაციაში ქალაქ მოსკოვში, აგრეთვე განაცხადა, რომ იგი არის შპს “ახალი ქალაქის” (ს/კ: 412699922 იურიდიული მისამართი: ქუთაისი ა. წერეთლის ქ. №192) დირექტორი (ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 16.08.2019წ. ირკვევა, რომ იგი წარმოადგენს საზოგადოების დირექტორს) და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აკაკი ბუხრაშვილმა (დაბადებული 05.08.1975წ. ჭიათურაში, პირადი №54001008038, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 11 34559 მცხ. თბილისი სანზონა კორ. 10გ ბ.7) მომმართა, დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: ლუიზა ჯამაშური (დაბადებული 25.08.1951წ. აბაშაში პირადი №53001040420 პირადობის მოწმობა №1420830 რეგისტრირებული: წყალტუბო, დედა ენის ქ. №5 ბინა 13), როგორც მიმდღობის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმოწერი), ნათია გოტიაშვილი (დაბადებული 16.10.1976წ. ქუთაისში პირადი №60003001669 პირადობის მოწმობა 11155308 მცხ. ქუთაისი ვ.ხარებაშვილ ქ. 9 ბ. 94), როგორც მოწმე. მე გავაფრთხილე მოწმე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მან დამიდასტურა რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები. მე ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, და ის რომ საკუთრების მიმდღობს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს მინდობილობა, აგრეთვე, ის რომ წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადასტურო შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. აგრეთვე განვუმარტე, რომ “სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის” 26-ე მუხლის შესაბამისად: მოწმე უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე, მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი და არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარისა და ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დადმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობენ. რის შემდგომაც მიმდღობმა ხელმოწერისა და მოწმის (რომლებიც ესწრებოდნენ აქტის ჩაწერას დასაწყისიდან დასასრულამდე) თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა.

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

ორიათას ცხრამეტი წლის ოც სექტემბერს მე აკაკი ბუხრაშვილი (დაბადებული 05.08.1975წ. ჭიათურაში, პირადი №54001008038, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 11BA34559 მცხ. თბილისი სანზონა კორ. 10გ ბ.7) ამჟამად მყოფი რუსეთის ფედერაციაში ქალაქ მოსკოვში, როგორც შპს “ახალი ქალაქის” (ს/კ: 412699922 იურიდიული მისამართი: ქუთაისი ა. წერეთლის ქ. №192) დირექტორი, შემდგომში როგორც “მიმდღობი”, ამ მინდობილობით ირაკლი ხარშილაძეს (დაბადებული 30.07.1971წ. ქუთაისში, პირადი №60002010080), შემდგომში როგორც “მინდობილ პირს”, საზოგადოების სახელით ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას, მინდობილი პირი უფლებამოსილია:

1. გამოვიდეს შპს “ახალი ქალაქის” (ს/კ: 412699922) სახელით დადებულ სხვადასხვა ხელშეკრულებებში, დადოს, ცვლილებები შეიტანოს და გააუქმოს ნებისმიერი ხასიათის ხელშეკრულებები, რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, (მათ შორის უძრავ/მოძრავი ქონების ნასყიდობის, გაყიდვის, შეძენის, იჯარის, ქირავნობის, გაყოფის, გაერთიანების, გამიჯვნის, გაცვლის, შრომითი, მიწოდების, ნარდობის და ა. შ. ხელშეკრულებები) შეიტანოს ცვლილებები აღნიშნულ ხელშეკრულებებში და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მათი რეგისტრაცია შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში.
2. მართოს და განკარგოს საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მათ შორის სს საქართველოს ბანკში და სს თიბისი ბანკში შპს “ახალი ქალაქის” (ს/კ: 412699922) კუთვნილი ანგარიშები, აწარმოოს საზოგადოების ანგარიშებზე საბანკო – საფინანსო ოპერაციები, მოახდინოს მათზე თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვები, კონვერტაცია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, გახსნას და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით და სმს ბანკით. მიიღოს და ისარგებლოს საზოგადოების კუთვნილი პლასტიკური ბარათებით, მიიღოს მასზე რიცხული თანხები მიუხედავად მისი ოდენობისა, მოახდინოს შპს “ახალი ქალაქის” (ს/კ: 412699922) კუთვნილი პლასტიკური ბარათების განახლება-აღება, ბარათის ბანკომატის დაკავების შემთხვევაში დაუშვადდეს ახალი პლასტიკური ბარათი, მოახდინოს ბარათების დაბლოკვა/განბლოკვა. გადაიხადოს საზოგადოების სახელზე რიცხული დავალიანებები. მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა და ამონაწერი საზოგადოების კუთვნილი ანგარიშების და პლასტიკური ბარათების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში დახუროს ანგარიშები, გააუქმოს პლასტიკური ბარათები.

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან). აწარმოოს შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სტრუქტურებში შპს "ახალი ქალაქი" (ს/კ: 412699922) საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებები, ოპერაციები. მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, ინფორმაცია. ხელი მოაწეროს საგადასახადო დავალებებს, მიიღოს შედარების აქტები, შეავსოს დეკლარაციები, მოახდინოს ელექტრონული დეკლარირება.

ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით ირაკლი ხარშილაძე უფლებამოსილია იყოს შპს "ახალი ქალაქი" (ს/კ: 412699922) წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამსახურებთან, შსს მომსახურების სააგენტოსთან, შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან), საქართველოს ნებისმიერ ბანკთან მათ ნებისმიერ ფილიალებთან, სერვისცენტრებთან, ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას და დოკუმენტს, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

"მინდობილ პირს" არ აქვს უფლება, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მიმდობის მიერ მის გაუქმებამდე

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წაეუკითხე მიმდობს, მიმდობმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის შედგენისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს ლუიზა ჯამაშურიას (დაბადებული: 25.08.1951წ. აბაშაში პირადი №53001040420 პირადობის მოწმობა №1420830 რეგისტრირებული: წყალტუბო, დედა ენის ქ. №5 ბინა 13), რის შემდეგაც ხელმომწერმა და მოწმემ ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი წინამდებარე მინდობილობას.

წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, თან ახლავს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო სამი გადაეცემა ლუიზა ჯამაშურიას. აქტის ციფრული ჩანაწერი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში.


გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 32ე მუხლის საფუძველზე 50 (ორმოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი, და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.დ.გ. 9.0 ლარი, ჯამში 61.0 ლარი.

მიმდობის ნაცვლად მისივე თხოვნით *ნათია გოჭაშვილი*

ხელს აწერს---- *ნათია გოჭაშვილი*

მოწმე: *ნათია გოჭაშვილი*

ნოტარიუსი:



თამარ ჩაფიძე

